პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ


საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

№ 22 (2065) 1 ივნისი, შაბათი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

Газета выходит с 1926 года.
გაზეთი გამოდის 1926 წლიდან


ЧЕЛОВЕК И ЗАКОН

## ВРЕМЯ РЕШИТЕЛЬНЫХ МЕР

**СЕГОДНЯ вступает в действие Указ Президиума Верховного Совета Грузинской ССР «О мерах по усилению борьбы против пьянства и алкоголизма, искоренению самогоноварения».**

Как отмечалось на апрельском (1985 г.) Пленуме ЦК КПСС, партия и впредь будет вести самую решительную борьбу со всеми негативными явлениями, чуждыми нашей коммунистической морали. На переднем плане борьбы с преступностью находятся органы внутренних дел, на которые возложена высокая ответственность за образцовый общественный порядок.

Постановления ЦК КПСС, Совета Министров СССР, Указ Президиума Верховного Совета СССР, направленные на всемерное усиление борьбы с пьянством и алкоголизмом, никого не оставили равнодушными. Эти документы большой государственной важности живо обсуждаются в трудовых коллективах, в частных беседах граждан. Это и понятно: ведь в них поднята чрезвычайно острая проблема. «Не может не вызвать серьезной озабоченности то обстоятельство, — говорится в постановлении ЦК КПСС, — что проблема пьянства и алкоголизма в стране за последние годы обострилась».

К сожалению, эта опасная тенденция не обошла и нашу республику. Хотя все еще можно услышать довольно распространенное мнение о том, что, мол, у нас, в Грузии, пьянство не является серьезной социальной проблемой. При этом порой приводятся аргументы, не выдерживающие никакой критики, ибо они основываются не на научных данных, а на чисто интуитивных представлениях о традиционных застольях, которые, кстати, все чаще и чаще трансформируются в пресловутые пьяные загулы с неумеренным потреблением алкогольных напитков. Данные же социологических исследований, проведенных в последнее время в республике, не могут не вызвать серьезной озабоченности. О распространении пьянства говорят и многочисленные письма, поступающие в различные инстанции, в том числе и в Министерство внутренних дел Грузинской ССР. Есть все основания утверждать, что за последнее время наметился явный рост потребления крепких спиртных напитков в республике, что чревато самыми серьезными последствиями. Особенно тревожит то обстоятельство, что среди тех, кто весьма часто потребляет спиртные напитки, становится все больше женщин и молодежи, подростков.

Несмотря на принимаемые меры, все еще продолжают иметь место устраиваемые то там, то здесь пышные свадьбы, на которые приглашаются сотни гостей, многолюдные поминки. Эти порочные традиции особенно распространены в сельской местности, причем далеко не везде местные органы ведут решительную борьбу с подобными отрицательными явлениями, со всей строгостью спрашивают с инициаторов пышных застолий, в ходе которых нередко совершаются преступления. Серьезный упрек в связи с этим следует адресовать и работникам органов внутренних дел на местах, на глазах у которых зачастую устраиваются вместительные палатки, где предаются многочасовым возлияниям любители спиртного.

Нельзя не считать обоснованным и такое, к примеру, мнение, довольно, кстати, распространенное: мол, домашнее производство водки из винограда, фруктов или цитрусовых не представляет никакой опасности — ее пили и деды, и прадеды, и ничего... Населению нашей республики действительно давалось право на производство чачи в домашних условиях, но только лишь для личного потребления. Однако многие стали злоупотреблять этим, у нас за последнее время непомерно увеличились масштабы производства чачи. По имеющимся у органов внутренних дел республики данным, ее производилось в таком количестве, которое никак не могло быть употреблено одной семьей. В последние годы участились случаи незаконной реализации чачи и других крепких напитков домашнего изготовления и даже спекуляция ими. К примеру, только в г. Тбилиси в результате проведенных недавно двух рейдов было задержано 12 реализаторов водки домашней выработки и изъято около 500 литров чачи, предназначенной для продажи. Кстати, специальный лабораторный анализ показал содержание в ней большого количества вредных для здоровья человека примесей.

**Общеизвестно: от пьянства до преступления — один шаг. Анализ оперативной обстановки в республике подтверждает это. Именно на почве пьянства с начала этого года возросло число таких опасных преступлений, как убийство и покушение на него, изнасилование и пр.**

**Вот только два примера преступлений на почве пьянства, совершенных в один и тот же день, почти в одно и то же время в разных уголках республики.**

**Две совсем еще молодые женщины — воспитательница ланчхутского детсада № 1 Наташа Квирквелия и парикмахер Ланчхутского УБОНа Людмила Шомахия, находясь в нетрезвом состоянии, угнали автомашину и около двух часов катались на ней, подвергая опасности как свои собственные, так и жизни других людей.**

**В тот же вечер недавно освободившийся из лечебно-трудового профилактория в Прибалтике, где принудительно лечился от алкоголизма, Александр Якупан, рабочий тепличного хозяйства пансионата «Гудаута», во время распития спиртных напитков убил ножом собутыльника — электрика гудаутского участка управления «Грузэлектромонтаж», ранее неоднократно принудительно лечившегося от алкоголизма Александра Чеботарева. Впоследствии А. Якупан покончил жизнь самоубийством.**

Можно привести и другие примеры общественной опасности пьянства и совершенных на его почве тех или иных преступлений. К наиболее распространенным следует отнести дорожно-транспортные происшествия по вине нетрезвых водителей. С начала нынешнего года за управление автомашиной в пьяном виде были лишены права управлять транспортом 6.550 водителей. Среди преступников потенциальных оказались и реальные: управляя автомобилем в состоянии алкогольного опьянения, такие водители совершили автоаварии с человеческими жертвами.

Ущерб от пьянства и алкоголизма не замыкается лишь рамками совершенных на их почве преступлений. Неизмеримо велики по этой причине потери на производстве, в экономике в целом. Нетрезвый работник или находящийся в состоянии похмелья, по сути, и не работник вовсе. Во всяком случае до тех пор, пока полностью не пройдет влияние алкоголя на организм. Истина эта хорошо всем известна, но, увы, до конца еще далеко не всеми осмыслена. Не потому ли кое-где порой сквозь пальцы смотрят на появление подвыпившего работника, пьянки на работе, прогулы по причине запоя или похмелья. К сожалению, далеко не везде еще общественные формирования активно помогают органам внутренних дел бороться с пьянством.

Надо откровенно признать: в борьбе с пьянством у нас еще немало формализма, а то и волокиты или показухи. Например, давно уже назрел вопрос об открытии на крупных промышленных предприятиях наркологических пунктов. Однако от слов к делу мы никак не перейдем, сделано в этом плане совсем мало, почти ничего. До сих пор не решен вопрос об открытии на двух тбилисских заводах наркологических стационаров.

**В ряде союзных республик страны все более широкое распространение получает анонимное лечение от алкоголизма в хозрасчет-**

(Окончание на 2-й стр.).

## საკავშირო და რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე

**მოსკოვი.**

**27 მაისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი.

შეხვედრაზე საფუძვლიანად განიხილეს ფართო წრის საკითხები, რომლებიც ეხება მსოფლიოში და ევროპის კონტინენტზე თანამედროვე ვითარებას. აღინიშნა, რომ დიდი მეცადინეობის, ურთიერთგაგებისადმი პატიოსანი მისწრაფების შედეგად 70-იან წლებში შესაძლებელი გახდა არსებითი პროგრესის მიღწევა სხვადასხვა სახელმწიფოების, მთლიანად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის მოგვარებასა და გაჯანსაღებაში. ამ ათწლეულის სიმბოლოები გახდა დაძაბულობის შენელება, კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა. ამით დადასტურდა, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შეუძლიათ ნაყოფიერად წყვეტდნენ ყოველგვარ, ყველაზე რთულ პრობლემებსაც კი იმ მისწრაფების საფუძველზე, რომ უზრუნველყონ საყოველთაო მშვიდობა და უშიშროება, მოსპონ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთგაგებას.

მხარეთა აზრით საჭიროა თანამიმდევრულად, რეალისტურად მივუდგეთ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის შეფასებას, ვცნოთ ყველა სახელმწიფოს უფლება — ისე მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, როგორც სურთ. დავიცვათ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ხალხთა დამოუკიდებლობისა და განვითარების დამოუკიდებელი გზის უფლება — სწორედ ეს ნიშნავს ჩვენს დროში დავიცვათ მშვიდობა.

მ. ს. გორბაჩოვმა და ვ. ბრანდტმა აღნიშნეს, რომ არსებითად უნდა გაუმჯობესდეს მაღალგანვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთმოქმედება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, რათა ამით ხელი შეუწყოს თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების შესუსტებას და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მომხრეა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისა, მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შექმნილ დადებით გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ ხელშეკრულების 15 წლისთავი აგვისტოში აღინიშნება. სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიძლება პარტნიორები იყვნენ უშიშროების საკითხებშიც, მიუხედავად ყველაფრისა რაც მათ ერთმანეთისაგან ყოფს.

**29 მაისს** კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოლაპარაკება იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ბ. კრაქსისთან, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

იტალიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ანდრეოტი.

საფუძვლიანი და საქმიანი აზრთა გაზიარების ცენტრში იყო საკვანძო საერთაშორისო პრობლემები და საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები. მან კვლავ ცხადყო, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობის მთელი რიგი არსებითი ასპექტების შეფასებისა და მათდამი მიდგომის განსხვავების მიუხედავად, საბჭოთა კავშირსა და იტალიას აქვთ შესაძლებლობა ეძებონ და გამონახონ შეხების წერტილები ისეთ საარსებო მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის ომის საფრთხის თავიდან აცილება, დაძაბულობის შენელების აღდგენა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და იტალია მზად არიან ხელი შეუწყონ აღმოსავლეთ-დასავლეთის სახელმწიფოთა შემხვედრ მეცადინეობას, რათა საერთაშორისო ურთიერთობაში იკლოს დაძაბულობამ.

მათ დაადასტურეს, რომ მზად არიან სსრ კავშირისა და იტალიის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა განავითარონ და სრულყონ უფრო დაწონასწორებულ საფუძველზე არსებული გრძელვადიანი შეთანხმებების, მათ შორის მოსკოვში 1984 წელს ხელმოწერილი 1990 წლამდე პერიოდისათვის ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავების პროგრამის შესაბამისად.

ბ. კრაქსიმ სთხოვა მ. ს. გორბაჩოვს ვიზიტად ეწვიოს იტალიას, რაზეც იგი მადლობით დათანხმდა.

**თბილისი.**

**29 მაისს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო რუმინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური პარტიული კოლეგიის თავმჯდომარე მიუ დობრესკუ. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იმყოფებოდა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. გ. ვოროპაევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომები.

სამდივნოს სხდომაზე მოისმინეს სკკპ წევრების, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. ო. დ. ქინქლაძისა და რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ხ. ტ. რიგვავას ანგარიშები იმ მუშაობის გამო, რომელსაც ეწევიან მოსწავლეთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი პროფილაქტიკისათვის, და იგი არასაკმარისად ცნო.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ბავშვთა დამნაშავეობის ჯერ კიდევ არსებული ფაქტები. ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ძირითადი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია თვითდამშვიდება ამ სახეობის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭიროა მივაღწიოთ დამნაშავეობის სრულ აღმოფხვრას მოსწავლეთა შორის. ამ მიზნით მთლიანად უნდა იყოს გამოყენებული კომკავშირის, სასწავლებლების, შრომელთა საზოგადოებრიობის, პედაგოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამართალდამცველი ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესაძლებლობანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

# ამხანაგური სასამართლოების მუშაობა—ახალ მოთხოვნათა დონეზე

**სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 3 მაისის ბრძანებულებით დამტკიცდა შინაგან საქმეთა ორგანოების ამხანაგური სასამართლოების ახალი დებულება. მისი დამტკიცება კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობაზე, რასაც პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენს შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში სამსახურეობრივ-საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვისადმი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში მილიციის მუშაკებს აკისრიათ არამარტო — ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა ადამიანები კანონისადმი, კომუნისტური მორალისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდაც ევალებათ.

იმისათვის, რომ მილიციის თანამშრომელს ჰქონდეს მორალური უფლება მოუწოდოს მოქალაქეს საბჭოთა კანონების განუხრელი დაცვა, ამიტომ თავად ის უნდა იყოს სანიმუშო, მაღალი ზნეობრივი ღირსების მატარებელი.

სწორედ ეს მოთხოვნებია ჩაქსოვილი ამხანაგური სასამართლოების ახალ დებულებაში, სრულყოფილია სასამართლოს წევრთა უფლება-მოვალეობანი, გაფართოვდა იმ დარღვევათა არე, რაც ამხანაგური სასამართლოს განხილვას ექვემდებარება.

თბილისის ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში შექმნილია და წლების განმავლობაში მოქმედებს რიგით და უმცროს მეთაურთა, ოფიცერთა ღირსების ამხანაგური სასამართლოები, რომლებიც პირად შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცების საქმეს ემსახურება.

ახალი დებულების ძალაში შესვლისთანავე ჩატარდა ამხანაგური სასამართლოს არჩევნები. ღია კენჭისყრით არჩეული იქნა სასამართლოების შემადგენლობები, მოხდა შესარჩევი ცვლილებები, რომელიც დამტკიცდა განყოფილების უფროსის ბრძანებით.

გარკვეულ მუშაობას ატარებს რასაუწყებო დაცვის განყოფილებასთან შექმნილი რიგით დი უმცროს მეთაურთა ამხანაგური სასამართლო პირად შემადგენლობაში სამსახურეობრივ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებასა და სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვის მიზნით.

უკანასკნელ პერიოდში სასამართლოს სხდომაზე განიხილეს მილიციელების მ. ნიცაურის, დ. გურგენაშვილის, თ. ტერმაკოზაშვილის, თ. ლაშაბერიძის, ვ. კილაძის, რ. ტაბატაძის, გ. ბედოშვილის, დ. გრიგალაშვილის საკითხები. ამასთან, როგორც სასამართლოს წევრებს, ისე პირად შემადგენლობას ყოველთვის როდი ჰყოფნიდათ გამბედაობა, ობიექტურობა, პრინციპულობა, რათა კრიტიკულად შეეფასებინათ თანამშრომელთა მიერ ჩადენილი გადაცდომები.

მილიციელი თ. ლაშამბერიძე სისტემატიურად აცდენდა სამსახურს,) როცა მისი საკითხი სასამართლოს სხდომაზე განიხილეს, მან აღუთქვა ყველას, რომ მომავალში გამოსწორდებოდა, სანიმუშო იქნებოდა სამსახურსა და პირად ცხოვრებაში. კოლექტივმა ირწმუნა მისი დაპირება, მხედველობაში მიიღო ის, ფაქტი, რომ ლაშამბერიძე იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო. შემოიფარგლა მისთვის საზოგადოებრივი საყვედურის გამოცხადებით მაგრამ როცა ლაშაბერიძემ არ შეასრულა დაპირება და კვლავ არ გამოცხადდა სამსახურში ხანგრძლივი დროის მანძილზე სავსებით სამართლიანად აღიძრა შუამდგომლობა მილიციელ თ. ლაშაბერიძის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ. მაგრამ ამავე დროს ამხანაგურმა სასამართლომ პრინციპული შეფასება არ მისცა მილიციის სერჟანტ მ. შახბაზიანის მოქმედებას, რომელიც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მართავდა მამის კუთვნილ ავტომანქანას, ანალოგიური მოქმედება მ. შახბაზიანმა ადრეც ჩაიდინა, რისთვისაც მას საზოგადოებრივი საყვედური გამოეცხადა. სამაგიეროდ სასამართლოს ლმობიერება განყოფილების ხელმძღვანელობამ გამოასწორა, რომელმაც გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება, აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების განყოფილების წინაშე გ. შახბაზიანის შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ.

ამხანაგურ სასამართლოების უპირველესი მოვალეობაა პროფილაქტიკური მუშაობა იმ თანამშრომელთა შორის რომლებიც არღვევენ სამსახურეობრივ დისციპლინას, ეტანებიან ალკოჰოლიან სასმელებს. ამ მხრივ სასამართლოს წევრთა მუშაობა გააქტიურებას მოითხოვს. სასამართლოს წევრებს მიეთითა აღნიშნულის შესახებ. წინადადება მიეცათ მხედველობის არედან არ გამორჩეთ ახალგაზრდა თანამშრომლები, შეასწავლონ მათ სადისციპლინო წესდების და ამხანაგური სასამართლოს მოთხოვნები, თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით ხელი შეუწყონ განყოფილების პირადი შემადგენლობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებას.

**ნ. ჭეიშვილი,**
**ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

# ВРЕМЯ РЕШИТЕЛЬНЫХ МЕР

(Окончание. Начало на 1-й стр.).

**ных медицинских учреждениях. В нашей же республике пока не перенят этот, безусловно, обнадеживающий метод оказания медицинской помощи людям, решившим добровольно избавиться от пагубного недуга. А ведь преимущества такого лечения очевидны. Внутренне ощущая, что дошел до последней черты, алкоголик между тем зачастую не соглашается делать свою болезнь предметом гласности. Это заставляет его уклоняться порой даже от принудительного лечения. Совсем другое дело — анонимная медицинская помощь.**

**Следует повсеместно расширять материальную базу и сеть лечебно-трудовых профилакториев системы МВД. В частности, предполагается создать учреждение этого типа в Западной Грузии. Вместе с тем нельзя не отметить, что все еще недостаточно эффективен метод лечения больных алкоголизмом в профилакториях. Не обеспечивается и возможность помещения в них женщин, страдающих алкоголизмом, которых приходится направлять на лечение за пределы республики.**

Впрочем, пристрастие к алкоголю легче, конечно, предупредить, чем лечить уже больного человека. Как же проводится в жизнь система мер профилактической работы? К сожалению, приходится признать, что в ней еще есть немало серьезных недостатков. И в этом плане много недоработок у соответствующих подразделений органов внутренних дел, участковых инспекторов милиции, которые могут и должны достичь более ощутимых результатов в борьбе с пьянством, объединив свои усилия с усилиями трудовых коллективов, общественных формирований по месту жительства граждан.

Следует также признать, что не достигли мы пока должного взаимодействия, к примеру, с Министерством торговли республики и Цекавшири. На подведомственных им объектах часто нарушаются правила реализации крепких спиртных напитков. Борьба с подобными негативными явлениями — дело наше общее. Но высокой результативности в ней мы пока, к сожалению, достичь не сумели. Только в результате недавно проведенного месячника по борьбе с нарушениями правил продажи спиртных напитков на объектах торговли и общественного питания по предварительным данным выявлено около 870 нарушений, свыше 300 фактов продажи крепких спиртных напитков в неустановленное время, более 470 случаев продажи водки в запрещенных местах. Помимо того, были выявлены факты реализации спиртного несовершеннолетним и нетрезвым потребителям.

**Не была достигнута должная эффективность в борьбе с пьянством и алкоголизмом также потому, что не во всех регионах республики достаточно энергично велось наступление на это зло. При анализе уровня преступности бросается в глаза следующая закономерность: ухудшается оперативная обстановка, в основном, там, где больше правонарушений совершается в нетрезвом состоянии, т. е. где более распространено пьянство. Эта тревожная тенденция стала характерной за последнее время для целого ряда районов Кахети: Кварельского, Лагодехского, Телавского, Цителцкаройского, в которых удельный вес преступлений, совершаемых гражданами в пьяном виде, значительно превышает аналогичный среднереспубликанский показатель. Именно в этих регионах, пожалуй, наибольшее распространение получило производство водки домашней выработки, ее употребление и незаконный сбыт.**

Высок также удельный вес преступлений, совершаемых в пьяном состоянии и в некоторых районах высокогорной зоны республики: Адигенском, Ахалцихском, Казбегском, Цагерском, Онском. Одной из причин пьянства и роста преступлений на его основе здесь следует считать неудовлетворительное положение по организации досуга населения и, прежде всего, молодежи. Мало в этих районах культурно-просветительных учреждений, спортивных сооружений, отвечающих современным требованиям.

В связи с постановлениями ЦК КПСС, Совета Министров СССР, Указами Президиума Верховного Совета СССР и Президиума Верховного Совета Грузинской ССР, направленными на усиление борьбы с пьянством и алкоголизмом, перед правоохранительными органами республики и, прежде всего, перед Министерством внутренних дел встают новые важные и ответственные задачи. В соответствии с вступившим сегодня в силу Указом Президиума Верховного Совета Грузинской ССР «О мерах по усилению борьбы против пьянства и алкоголизма, искоренению самогоноварения» начальники органов внутренних дел на местах или их заместители обязаны в течение суток рассматривать дела об административных правонарушениях и определять предусмотренные законом взыскания нарушителям. Работа эта должна строиться четко и ответственно, в полном соответствии с регламентированными законом мерами наказания виновных. Мы будем решительно бороться с любыми вольностями в этом деле, если таковые будут допускаться, со всей строгостью спрашивать с тех должностных лиц, которые позволят злоупотребить данными им законом правами.

Для успешного выполнения стоящих перед органами внутренних дел задач необходимо, прежде всего, навести порядок, так сказать, в собственном доме. Что скрывать, еще не до конца изжиты случаи нарушения социалистической законности сотрудниками милиции, в частности, не искоренены здесь такие негативные явления, как пьянство. Только за последнее время уволены из органов внутренних дел за дискредитацию высокого звания сотрудника милиции, злоупотребление спиртными напитками и служебным положением инспектор - дежурный Цаленджихского РОВД Г. Каландиа, помощник дежурного Казбегского РОВД М. Чкареули, милиционер Первомайского РОВД (г. Тбилиси) Г. Куртанидзе, милиционер Орджоникидзевского РОВД (г. Тбилиси), А. Марцвалишвили, помощник дежурного Телавского РОВД Л. Гогонашвили, госавтоинспектор Лентехского РОВД М. Бенделиани.

Говоря о качестве работы отдельных наших сотрудников и подразделений милиции, нельзя не сказать, что сегодня нас уже не может удовлетворить уровень деятельности медицинских вытрезвителей и кабинетов профилактики при них. Работа этих специальных подразделений милиции ныне перестраивается в соответствии с новыми, более жесткими требованиями к борьбе с пьянством и алкоголизмом. Будет улучшен кадровый состав работников медвытрезвителей. Требует упорядочения вопрос технической оснащенности медвытрезвителей, обеспечения их надежными средствами связи и транспортом. Следует также сказать и о том, что местные органы власти далеко не всегда уделяют этим службам должное внимание, своевременно не финансируют их, что, разумеется, отрицательно сказывается на уровне работы медвытрезвителей и кабинетов профилактики при них.

Повышаются ныне требования и к работе участковых инспекторов милиции, которые в первую очередь призваны предпринимать все необходимые профилактические и другие меры по пресечению и предупреждению пьянства на обслуживаемых участках, используя при этом всю полноту предоставленных им прав.

Словом, работы предстоит много, ответственной, напряженной, целенаправленной. Политические органы активно включились в партийно-политическое обеспечение служебных задач органов внутренних дел по искоренению всех негативных явлений, имеющих место в нашей работе.

Принятые недавно партийно-правительственные постановления, новый закон по борьбе с пьянством и алкоголизмом существенно расширяют возможности для искоренения этого социального зла. И эти возможности, безусловно, будут реализованы сотрудниками органов внутренних дел в полном объеме. С пьянством и алкоголизмом в республике должно быть покончено раз и навсегда.

**Гурам ГВЕТАДЗЕ,**
**министр внутренних дел Грузинской ССР.**

**(«Заря Востока», 1 июня 1985 г.).**

**ჩვენი ინტერვიუ**

# მართლწესრიგის გასამტკიცებლად

**რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საკითხები განიხილა, სამართალდამცველი ორგანოების წინაშე დიდი და საპატიო ამოცანები დასახა. აღინიშნა წარმატებებიც და ნაკლოვანი მხარეებიც. კრების შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. უკვე შეიძლება შევაჯამოთ ზოგიერთი შედეგი. გთავაზობთ ინტერვიუს ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსთან, მილიციის პოდპოლკოვნიკ სერგო თუნგიასთან.**

**— პატივცემულო სერგო, გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობა. რა კეთდება ოპერატიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.**

— ამ ხნის მანძილზე ქალაქის პარტიულ, საბჭოთა სამეურნეო ორგანოების დახმარებით მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ ყველა ქვედანაყოფის პროფილაქტიკური საქმიანობის ძირეული გარდაქმნა.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მილიციის საპატრულო სამსახურის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას და მათთან სახალხო რაზმელების კონტაქტების განმტკიცებას. რეგულარულად ვატარებდით რეიდებს უსაქმურების, მაწანწალების, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევთა გამოვლენის მიზნით. სისტემატიურად ვახორციელებთ ქალაქის საცხოვრებელი მასივების შემოვლებს სამუშაო საათებში ბინების გაქურდვის თავიდან ასაცილებლად.

ასევე ტარდებოდა სანაპირო ზოლის, ტურბაზის, დასასვენებელი სახლების, პარკების რესტორნებისა და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების ოპერატიული შემოწმება. ყურადღების ცენტრში გვყავს აღრიცხვაზე აყვანილი ადრე ნასამართლევი პირები.

**— რა სახის, დანაშაულობათა შემთხვევებმა იკლო უფრო მეტად, და რა ხასიათის ნაკლოვანებები შეიმჩნევა შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაობაში?**

— გატარებული ღონისძიებების შედეგად შევძელით წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაგვეუმჯობესებინა ოპერატიული მდგომარეობა. იკლო ბინების, სასტუმროების, ტურბაზების, საერთო საცხოვრებლების გაქურდვამ, მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ყაჩაღობამ, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებამ, ავტოავარიებმა სასიკვდილო შედეგით.

შარშანდელთან შედარებით გარკვეული წარმატებები გვაქვს. ამის შესახებ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, მაგრამ მიღწეული არ გვაკმაყოფილებს, მით უფრო, რომ შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს, საპასპორტო სამსახურის, სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთი მუშაკის საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება გარკვეული ხარვეზები. ასეთთა შორის დავასახელებ ზ. ლემონჯავას, ე. კაზიანს. ა. ჯომიადს, ა. არძიმბას, დ. აფხაზავას, გ. დგებუაძეს, ნ. ბმაჟანს. ამ მუშაკებს მეტი მონდომება და პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ, მეტი ეზრუნათ პროფესიულ დაოსტატებაზე, შედეგები ბევრად უკეთესი გვექნებოდა. ზემოთ აღნიშნული სამსახურების მუშაობაში დაშვებულმა ხარვეზებმა განაპირობა ის, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შარშანდელთან შედარებით გაიზარდა მკვლელობის მცდელობა, იმატა ავტომანქანების გატაცების, ავტომანქანებიდან მაგნიტოფონების მოპარვის შემთხვევებმა.

**— პატივცემულო სერგო, ზაფხულობით სოხუმს ბევრი საბჭოთა და უცხოელი სტუმარი ჰყავს. როგორ ხვდება ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილება საკურორტო სეზონს?**

— ამ პერიოდში, ბუნებრივია, ჩვენს მუშაკებს დატვირთვა მოემატება, გაიზრდება თითოეული მათგანის პირადი პასუხისმგებლობაც ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

იმედს გამოვთქვამ, რომ სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილება თავს გაართმევს ამ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს. ჩვენი კოლექტივი ძირითადად გამოცდილი, საქმეში გამობრძმედილი მუშაკებისაგან შედგება რომელთა შორის მინდა დავასახელო ჟ. ხორგუანი, ი. კვაშილავა, ლ. ფაცაცია, რ. ენიკი, ვ. კორსანტია, ძმები რ. და რ. ასლანიანები, ვ. მუნჯიანი, ვ. შენგელია, ე. ქობალავა, ა. ჩაპაგუა და სხვები. სწორედ მათი პროფესიული გამოცდილებით დისციპლინითა და პირადი მაგალითით შინაგან საქმეთა განყოფილების თითოეულმა მუშაკმა ახალ-ახალ წარმატებებს უნდა მიაღწიოს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საუბარი ჩაიწერა **ლ. მაისურაძე-მორბოშიამ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთვრალი საჭესთან — ბოროტმოქმედია

**შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრკ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ზომებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.**

**მთვრალ** კაცს ფეხით გავლა უჭირს და მანქანის საჭე როგორ უნდა მართოს? მაგრამ წინდახედულება, პასუხისმგებლობა არ ჰყოფნის და ნაბახუსევი არც საკუთარ თავს და არც სხვის სიცოცხლეს არ უფრთხილდება. სახელმწიფო ავტოინსპექციის სარეგისტრაციო ჟურნალში უცხო თვალით რომ ჩახედოთ, გაოცდებით — თითქმის გრაფა-გრაფაშია მიყოლებული ლოთი მძღოლების გვარები.

ბათუმში მარტო ერთ თვეში ინსპექციის მუშაკებმა 97 მთვრალი მძღოლი გამოავლინეს.

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი თავაშვებულობა?

ბათუმის ავტოინსპექცია ძალიან ბევრს ფიქრობს ამ კითხვაზე, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს რომ განიხილავს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ის გახლავთ, რომ ვერ იქნა და ვერ შევძელით შეგვექმნა მტკიცე საზოგადოებრივი აზრი, შეგვეცვალა მოქალაქეთა დამოკიდებულება მძღოლების სიმთვრალისადმი.

პასიურობას იჩენენ შრომითი კოლექტივები. სახელმწიფო ავტოინსპექცია წარდგინებას გზავნის ლოთი მძღოლის კოლექტივში, მაგრამ სამწუხაროდ ბევრგან არ განიხილავენ ჩვენს ცნობას, არ სურთ მოიწვიონ საერთო კრებაზე დამნაშავე, პასუხი აგებინონ თანამოსაქმეების წინაშე.

ამას ხომ ძალიან დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა ექნებოდა! ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში უთუოდ დიდ დახმარებას გაგვიწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, რომელსაც ერთსულოვნად მხარს უჭერს თითოეული ჩვენგანი. მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ინსპექციის მუშაკები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დაკისრებულ მოვალეობას, მოძრაობის წესების არც ერთი დარღვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე.

**ი. ნიკურაძე,**

**ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი.**

# ВСТРЕЧА — СЛЕТ

**молодых сотрудников органов внутренних дел Марнеули, Болниси и Дманиси состоялась недавно в г. Болниси по согласованию с политическим отделом МВД ГССР, Болнисским РК КП Грузии и РК ЛКСМ.**

Была организована встреча комсомольцев и молодых сотрудников с ветеранами войны и органов внутренних дел: бывшим командиром гвардейского полка, подполковником в отставке Г. Кухалейшвили, старшим лейтенантом в отставке Д. Мамедовым, старшиной запаса Б. Алиевым и старшим лейтенантом медицинской службы в запасе Т. Чхеидзе.

Ветераны и молодые сотрудники возложили венки к монументу Победы в г. Болниси.

В заключение встречи состоялись соревнования участников по стрельбе из табельного оружия, перетягиванию каната, поднятию гири и кроссу.

В командном первенстве первое место заняла команда Дманисского РОВД, на втором месте — команда Болнисского РОВД, третье место — у команды Марнеульского ГОВД.

В личном зачете по стрельбе из табельного оружия первенствовал старший участковый инспектор по делам несовершеннолетних Болнисского РОВД лейтенант милиции М. Гарибов, который выбил 76 очков из 80 возможных.

Во встрече приняли участие первый секретарь Болнисского РК ЛКСМ Грузии П. Данелия, руководящий состав и секретари первичных партийных организаций Марнеульского ГОВД, Дманисского и Болнисского РОВД.

**А. СУЛТАНОВ,**

**заместитель начальника Болнисского РОВД по политчасти, майор милиции.**

# სიმშვიდის დამცველები

**გვიან** ღამეა, სძინავს ქალაქს, სძინავთ შრომით დაღლილ ადამიანებს; ქუჩაში კანტიკუნტად თუ გამოჩნდება გამვლელი. ეს ალბათ მაღაროელია, ცვლაზე მიიჩქარის...

ეს კი ვინ არის? ქუჩა ქურდულად რომ გადმოჭრა, ეჭვი არაა, რაღაც ცუდს აპირებს... და სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებიც; დამნაშავე დაკავებულია. ისინი კი კვლავ აგრძელებენ ქალაქის შემოვლას.

ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ამ სამსახურის ხელმძღვანელობა მილიციის უფროს სერჟანტს, კომუნისტ ნოდარ ხუციშვილს მიანდეს, რომელიც პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ნაგუთის მიკრორაიონში, სასტუმრო „ახალ ჭიათურასთან“ და ქალაქის კიდევ მრავალ უბანზე შეხვდებით ამ სამსახურის მუშაკებს, რომლებიც ფხიზლად დგანან წესრიგის დაცვის სადარაჯოზე. ამ სამსახურს კურირებას უწევს შს განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის კაპიტანი ა. გაფრინდაშვილი, რომელიც მუდამ მხარში უდგას თანამშრომლებს, ოპერატიულად ეხმარება მათ, ზრუნავს მათ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე, სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

სასიხარულოა, როცა ახალგაზრდა ცხოვრების სწორ გზას დაადგება და პატიოსანი ადამიანის სახელით ივლის, სწორედ ასეთი გზა აირჩია ცხოვრებაში ნ. ხუციშვილმაც. იგი დაიბადა სოფელ ჩვაშითში, მუშის ოჯახში და იმავე სოფელში დაამთავრა 8 კლასი. შემდეგ ყმაწვილმა სწავლა თბილისის 54-ე ტექნიკურ სასწავლებელში გააგრძელა, სადაც ავტო-შემკეთებელი ზეინკლის პროფესია შეისწავლა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას შეუდგა საჩხერის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში. 1975 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1979 წლიდან კი მუშაობა დაიწყო ჭიათურის შინაგან საქმეთა განყოფილებაში რიგით მილიციელად. მონდომებულ და დისციპლინიან მუშაკს ნდობა გამოუცხადეს და 1982 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში, ხოლო 1983 წლიდან დააწინაურეს და გადაიყვანეს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვედანაყოფის მეთაურად. სწორედ აქ იჩინა თავი მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის იგი მადლობას იმსახურებს განყოფილების ხელმძღვანელობისაგან.

გვიან ღამეა, სძინავს ქალაქს, სძინავთ შრომით დაღლილ ადამიანებს, სძინავთ მშვიდად და ამ სიმშვიდის დაცვაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლებს, რომლებსაც უნარიანად თავკაცობს ნ. ხუციშვილი.

**თ. შიმშილაშვილი.**

## „თავისუფალი სამყაროს“ სახე





**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ასობით წარმომადგენელი შეიკრიბა თეთრ სახლთან.

დემონსტრანტებმა მოაწყვეს მჯდომარე გაფიცვა პრეზიდენტის რეზიდენციის შესასვლელთან. მათ მოითხოვეს, რომ მთავრობამ საერთაშორისო არენაზე გაატაროს მშვიდობისმოყვარული კურსი, მტკიცედ დაეყრდნოს სხვა სახელმწიფოების საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს.

**სურათზე: მჯდომარე დემონსტრაცია ვაშინგტონში; პოლიცია გაფიცულთა წინააღმდეგ.**

**საკდეს-ის ფოტოქრონიკა.**

# ТЕМАТИЧЕСКИЙ ПЛАН

**В помощь руководителям групп марксистско - ленинской подготовки и политических занятий**

В системе марксистско-ленинской подготовки среднего и старшего начальствующего состава по курсу «Социальная политика КПСС» итоговые занятия состоятся 13 июня с. г...

В системе политических занятий рядового и младшего начальствующего состава по курсу «Ленинское учение о коммунистической нравственности» итоговые занятия состоятся 14 июня с. г..

В центральных аппаратах МВД, УВД, УВДТ, итоговые занятия состоятся 12 июня с. г. в соответствии пройденных курсов по тематическим планам, а в группах экономического образования личного состава по курсу «Экономическая политика КПСС».

**итогово занятия в системе марксистско-ленинской подготовки по курсу «Социальная политика КПСС».**

1. Высокоэффективный труд, успешное завершение пятилетки — патриотический долг каждого, всех трудовых коллективов.
2. Роль социальной политики КПСС в упрочении духовных основ социалистического образа жизни и формировании нового человека.
3. Дальнейшее совершенствование условий удовлетворения и развития культурных потребностей масс.
4. Воздействие социальной политики КПСС на развитие социалистической демократии. Обеспечение строжайшего соблюдения советских законов — основа деятельности органов внутренних дел.
5. Повышение народного благосостояния и укрепление материальных основ социалистического образа жизни. Основные направления деятельности органов внутренних дел по укреплению экономики страны, сохранению народного богатства.
6. Культурно бороться за социалистическую законность — ленинский принцип деятельности органов внутренних дел. Этика взаимоотношений работников органов внутренних дел с населением.
7. Повышение общеобразовательного и профессионально-технического уровня трудящихся. Настойчиво совершенствовать профессиональное мастерство, умело использовать оперативно-технические средства при выполнении служебных задач.

**итогового занятия в системе политических занятий по курсу «Ленинское учение о коммунистической нравственности».**

1. Высокоэффективный труд, успешное завершение пятилетки — патриотический долг каждого, всех трудовых коллективов.
2. Нравственные принципы коммунистического отношения к труду. Соблюдение дисциплины труда в деятельности органов внутренних дел и непримиримость к ее нарушителям.
3. Профессиональная мораль и этика служебных отношений в органах внутренних дел. Роль морали в повышении эффективности и качества служебной деятельности.
4. Коллективизм — коренной принцип коммунистической морали. Роль коллектива в органах внутренних дел в формировании нравственного сознания сотрудников.
5. Нравственные нормы социалистического общества. Строго соблюдать этические нормы поведения на службе и в быту
6. Культурно бороться за социалистическую законность — принцип деятельности органов внутренних дел. Этика взаимоотношений работников органов внутренних дел с населением.
7. Повышение общеобразовательного и профессионально-технического уровня трудящихся. Настойчиво совершенствовать профессиональное мастерство, умело использовать оперативно-технические средства при выполнении служебных задач.

**итогового занятия в системе марксистско - ленинской подготовки по курсу «Экономическая политика КПСС».**

1. Высокоэффективный труд, успешное завершение пятилетки — патриотический долг каждого, всех трудовых коллективов.
2. Совершенствование планирования и организационных структур управления производством — важное средство успешной реализации экономической политики.
3. Развитие хозяйственного расчета и усиление роли экономических рычагов и стимулов.
4. Единая научно-техническая политика КПСС и ее роль в решении экономических и социальных задач.
5. Структурная политика, ее цели и методы.
6. Аграрная политика КПСС на современном этапе.
7. Внешнеэкономическая политика КПСС.

**На занятиях необходимо использовать методические рекомендации, подготовленные политотделом МВД ГССР.**

# გავლით... უბნის ინსპექტორთან

**მცირე** მოსაცდელ ოთახში, რომლის კარებზეც გაკრული დაფა იუწყება, რომ აქ მოთავსებულია — „წერეთლის უბნის მართლწესრიგის საყრდენი პუნქტი“, — ახალგაზრდა ქალი დაგვხვდა. საწერ მაგიდასთან მიდგმული სკამიდან ოდნავ წამოიწია და იკითხა: — უბნის ინსპექტორს ხომ არ ეძებთ? ქალმა ხასტირალევი თვალები ისე მოგვაპყრო, როგორც ჩვეულებრივად თანაგრძნობას ითხოვენ სასოწარკვეთილები. გამოველაპარაკეთ. ავუხსენი, რომ რედაქციის მუშაკები ვართ და ინსპექტორი დაგვპირდა მალე მოვიდესო. ქალმა ჯერ დუმილი არჩია. მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და დაწვრილებით გვიამბო, რისთვისაც იყო მოსული. წინასწარ გაგვაფრთხილა, მეუღლემ რომ გამიგოს, მილიციაში ვუჩივლე სულს ამომართმევსო... არადა, დროზე თუ არ უშველე, გამილოთდება ის საცოდავიო.

ვანუგეშეთ და ჩვენი მხრივ დახმარებაც აღვუთქვით. მან უბნის ინსპექტორზე გააბა მუსაიფი: უბნის ინსპექტორს ედემი ჰქვიაო, არ დავიჯერე. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩასი“ არ იყოს, ჩვენი ინსპექტორისათვისაც „ედემი“ შეურქმევიათმეთქი... ისე, კაცმა რომ თქვას, ახირებული ნათლია ჰყოლია, — ამბობს ქალი და ნატირალევ თვალებში ღიმილი ერევა ბიბლიური მადლით მოსილი ადგილის სახელი როგორ დაარქვა ასეთ ვაჟკაცს... თუმცა ჩვენი ინსპექტორი ისეთი ქომაგი და გაჭირვებულის მოჭირისუფლეა მისი კეთილი გული ყოველ ღვთისწიერს შეშურდებოდა. ვინ მოთვლის, მრუდე გზას დამდგარი რამდენი ბავშვი გადაურჩინა სკოლას, მშობლებს. რამდენი უსაქმური დაუბრუნა სასარგებლო შრომას... მეც იმიტომ მოვედი, იქნებ ჩემი ქმარიც იხსნას გალოთებისაგან. დანგრევას გადამირჩინოს ოჯახი...

მალე უბნის ინსპექტორიც მოვიდა. მოსაცდელში მეკრებილებს მოგვესალმა. ჩვენთან ბოდიში მოიხადა და კაბინეტში მიგვიწვია. წერეთლის პირველი უბნის ინსპექტორთან თეიმურაზ ხუნწარიასთან ერთად რამდენიმე საათი მოვანდომეთ იმის ახსნას ცდას, პირველი მეზობლები რომ შერიგებულიყვნენო, წერეთლისა და ქუთაისის ქუჩების მესაყარში მცხოვრებლების ვ. ვაჩაძისა და გ. ბახიას შორის ამტყდარი დაუსრულებელი დავის თავგადასავალი გვიამბო ინსპექტორმა: 20 კვადრატული მეტრი მიწისათვის ერთმანეთს მტრად გადაეკიდნენ კარის მეზობლები. ვინ მოთვლის, ქალაქის ადმინისტრაციული და საბჭოთა ორგანოების რამდენი წარმომადგენელი ცდილობდა დაეშოშმინა მოდავენი, მაგრამ ამაოდ ახლა წერეთლის უბნის ორი ინსპექტორი გარჯილა შეაგნებინოს კომუნისტს ა. ვაჩაძეს, რომ „მიწა არ იყიდება და მისი პრეტენზიები საერთოდ ეზოს პირველი მფლობელის მიმართ უსაფუძვლოა“. კომუნისტ გ. ბახიას კი განუმარტავენ, რომ „სანამ პროექტს აღმასკომი არ დაამტკიცებს, მას უფლება არა აქვს გარაჟი აიშენოს... რის გამოც, კინკლაობაში ახლა მესამე მეზობელი ა. ვარვამტიანიც ჩაება... მაინც უნდა შევარიგო მეზობლები. სხვა გზა არ არის! ამბობს ედემ კუკანია და ამ კაცს დაეჯერება. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში რომ გაუწვევიათ, ათი წლის წინათ, არმიაში სავალდებულო სამსახურის დამთავრებისთანავე, უმცროსი სერჟანტის წოდებით ჩამოსულა გაგრაში. შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში დაუწყია მუშაობა. როცა განყოფილებას სათავეში მილიციის პოლკოვნიკი ჯემალ რაფავა ჩაუდგა, მისი ყურადღება დაუმსახურებია ახალგაზრდა მუშაკს მილიციის საშუალო სასწავლებელში მიუვლინებიათ ამ სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ უბნის ინსპექტორის პასუხსაგებ პოსტი ჩაუბარებიათ.

...ჩვენი საუბარი ტელეფონის ზარმა შეწყვიტა. განყოფილებიდან რეკავდნენ უბნის ინსპექტორს რატომღაც ნიორი ეცვალა. ყურმილი დადო.

— წერეთლის უბანში პენსიონერი ს.-ვი ცხოვრობს ამ კაცმა თავისი სიბერე ცილისმწამებლური და ანონიმური წერილების წერას შეალია, — გვეუბნება კუკანია. — მოწყალეი პასუხისგებაში მისაცემად ვერ გავიმეტეთ. არადა, მთელი ქალაქი შეაწუხა. წერით რომ წერდა ტელეფონითაც არ ასვენებდა მეზობლებს. ახლაც დამირეკეს სისხლი ჩაქცევია, შინ მომვლელი კი არავინ ჰყავს.

— წავალთ, უნდა ვიღონოთ რამე! — ამბობს უბნის ინსპექტორი.

...მივყვებით წერეთლის ქუჩას, გაგრის კვარტალური დასახლების მაგისტრალურ ქუჩას, რომლის სახელიც ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ რაიონს შემორჩენია.

რამდენიმე ჯანმრთელობის კერა სკოლა და საბავშვო ბაღები, საკოლმეურნეო ბაზარი და სასტუმრო, მაღლივი საცხოვრებელი კორპუსების ახალმშენებლობანი, რომლებიც ამ უბანშია განლაგებული, ნებისმიერი ქალაქის ცენტრს დაამშვენებდა.

საპატიოა ასეთი უბნის ინსპექტორის სახელს ატარებდე.

მილიციის ლეიტენანტი ედემ კუკანია ღირსეულად იხდის ამ საპატიო მოვალეობას.

**ალ. თოფურია.**

# კორესპონდენტებიდან გვატყობინებენ

**ასრულებდნენ** რა ფოთში საპატრულო-საგუშაგო სამსახურს მილიციის რიგითებმა ბ. ბალათურიამ, ზ. კუპრეიშვილმა და მ. მიქაძემ შეამჩნიეს ორი უცნობი მოქალაქე, რომლებიც მილიციის მუშაკების დანახვისთანავე მიიმალნენ. გამოიჩინეს რა სიფხიზლე, გამბედაობა და საზრიანობა მილიციის მუშაკებმა დააკავეს საეჭვო პირები. როგორც შემდეგ გაირკვა დაკავებული მოქალაქეები აღმოჩნდნენ გ. ბორშევსკი და ა. ურშოვი, რომლებმაც ფოთის შერეული საქონლის მაღაზია გაქურდეს და მიმალვას ცდილობდნენ. დაკავებულებთან ერთად ამოღებული იქნა ნივთიერი მტკიცებები.

საუწყებო მილიციის უბნის ინსპექტორმა მილიციის კაპიტანმა მილორავამ და რიგითმა მილიციელმა ზ. ქორჩილავამ დააკავეს ფოთი-ცხაკაიას მიმართულებით მოძრავი „გაზ:608“ მარკის სატვირთო ავტომანქანების (სახ. № 38-68 გან და № 38-66 გამ) მძღოლები ვ. დოლიძე და ო. პოლოსიანი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ყალბი საბუთები და ციტრუსოვანთა ნაყოფის მეტობა 12284 კგ-ის რაოდენობით.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.

**რ. ალასანია,**
**მილიციის კაპიტანი.**

**სპორტი**

# მეტი ნებისყოფა, მეტი პასუხისმგებლობა

**ფეხბურთელთა** 48-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრებამდე გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ 5-6 შეხვედრა. რასაკვირველია ჩვენ თავის დროზე ანალიზს გავუკეთებთ პირველი წრის შედეგებს, მაგრამ ახლა გვინდა შევეხოთ თბილისის დინამოელთა მიერ ჩატარებული თორმეტი მატჩის საერთო შთაბეჭდილებებს და ბოლო შეხვედრას მინსკელ თანაკლუბელებთან.

მაშ ასე, დღეს დინამოელები სატურნირო ცხრილში მოსკოვის სპარტაკთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფებენ. ცუდია ეს, თუ კარგი? ეს შეკითხვა შეიძლება არც დაგვესვა გუნდის სატურნირო მდგომარეობა და მისი თამაში ერთ დონეზე რომ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ არის და ამიტომ წინა პლანზე იწევს გუნდის თამაშის ავ-კარგი. დინამოელთა მიერ ჩატარებული მატჩებიდან ალბათ შეიძლება გამოვყოთ ორი ან სამი შეხვედრა, როდესაც გამოჩნდა გუნდის ის შესაძლებლობანი, რომელიც ერთნაირად ახარებს, როგორც მწვრთნელებს ასევე გულშემატკივრებს. განსაკუთრებით დიდი იმედებით ხვდებიან დინამოელებს ჩვენი სტადიონის ხალხით გაჭედილი ტრიბუნები, მაგრამ საფეხბურთო სპექტაკლის სანახავად მოსულები, გულნაკლულები, უმეტესად კი ცუდი გუნდებით ტოვებენ სტადიონს. მატჩის შემდეგ თამაშით უკმაყოფილო გულშემატკივრებისაგან გაიგონებთ კეტაშვილმა და სულაქველიძემ ან ჩივაძემ, სულაქველიძემ და შენგელიამ კარგად ითამაშეს სხვები კი ბურთს აგორავებდნენო. მაყურებელი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ გუნდში 11 კაცი თამაშობს და თუ ყველამ ერთნაირად არ მოინდომა, გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია; შეიძლება ერთ ან ორ ფეხბურთელს არ გამოუვიდეს თამაში, მაგრამ როცა მატჩიდან მატჩამდე პირიქით ხდება მდგომარეობა საგანგაშო ხდება. მართალია 1983 წლის სეზონთან შედარებით ჩვენმა ფეხბურთელებმა მოუმატეს თამაშს, მაგრამ მაინც თვალში საცემია გადაცემების უზუსტობა, გააზრებული, დამუშავებული კომბინაციების მცირე მარაგი, სხვადასხვა რგოლების მონოტონური, არაორგანიზებული თამაში. დავიწყოთ დამცველებიდან. ყოველ მატჩში ფაქტიურად 5 დამცველია მოედანზე, რომლებიც ჰქონდ სხვადასხვა ნაკრები გუნდების წამყვანი ფეხბურთელები არიან, გამოცდილებიც და უთუოდ დიდი მომავლის მქონენიც. მაგრამ დაცვის ორგანიზება მოიკოჭლებს, შესამჩნევია პოზიციური შეცდომები. პირველ ექვსეულში მყოფი გუნდებიდან დინამოელებმა ყველაზე მეტი ბურთი გაუშვეს. განსაკუთრებით ბევრს აკრიტიკებენ ჩვენს ნახევარდამცველებს და სამართლიანადაც — მათ ხომ თამაშის მთელი სადავეები ხელთ უნდა ეპყრათ. თავდამსხმელების თამაშის შეფასებისას ისევ სტატისტიკას მივმართავთ — „დიდ ექვსეულში“ დინამოელებზე ნაკლები გატანილი გოლი მინსკელებს აქვთ, მაგრამ მათ თამაშით ნაკლები ჩაატარეს.

ახლა მინსკელებთან მატჩის შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვით. ისინი ამ ბოლო წლებში თამაშობენ სწრაფად, კომბინაციურად, გამოირჩევიან დიდი შრომის უნარიანობით. ამ კომპონენტებში ამჯერადაც დაგვჯაბნეს, მაგრამ გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი რომელიც საპრიზო ადგილებზე აცხადებს პრეტენზიას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თითოეულ მატჩს, სახლშიც და გასვლაზეც. თვითონ განსაჯეთ — რა წარმატებაზე შეიძლებოდა ფიქრი, როდესაც 90 წუთის განმავლობაში ჩვენმა ფეხბურთელებმა ოთხიოდე დარტყმა განახორციელეს მოწინააღმდეგის კარის მიმართულებით. ორი გაშვებული ბურთის შემდეგ (როდესაც თბილისელები მაყურებელის როლში უფრო გამოდიოდნენ) საბოლოოდ დაყარეს ფარ-ხმალი და დამცველების სრული უყურადღებობის შედეგად მესამე გოლიც გაუშვეს. ვფიქრობთ ჩვენს ფეხბურთელებს მეტი თავმოყვარეობა რომ გამოეჩინათ ალბათ შეძლებდნენ ანგარიშის შეცვლას მაინც და ასე სამარცხვინოდ არ დამარცხდებოდნენ. მითუმეტეს, რომ წინა დღით ჩატარებულმა შეხვედრამ მოსკოვში ადგილობრივ „დინამოსა“ და როსტოვის არმიელთა შორის კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის ჭეშმარიტება, რომ თუ გუნდი, მსაჯის საფინალო სასტვენამდე ითამაშებს აზარტით, მდგომარეობის გამოსწორების დიდი სურვილით, მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს თუ ყოველთვის გამარჯვებას არა, გულშემატკივართა სიყვარულსა და პატივისცემას კი აუცილებლად.

ჩვენ, „დინამოს“ ყველა გულშემატკივართან ერთად იმედს გამოვთქვამთ, რომ მოედანზე გამოსული თითოეული დინამოელი გაითვალისწინებს წარუმატებლობის მიზეზებს, ყველა ღონეს იხმარს იმისათვის რომ ლამაზი თამაშით, ბრძოლის დიდი ჟინით ახალ-ახალი გამარჯვებები მოუპოვოს ჩვენს ფეხბურთს.

**ბ. თათეიშვილი.**

**ФОТОКАЛЕЙДОСКОП**



**ФРАНЦИЯ.** Известный французский океанолог Жак-Ив Кусто отправился в очередное морское путешествие. Его новое 30-метровое цельноалюминиевое судно «Алкион» отошло от причала французского порта Ла-Рошель. На сей раз главная задача экспедиции Кусто состоит в том, чтобы всесторонне испытать новый тип движения — турбопаруса. За месячное плавание судну предстоит пересечь Атлантический океан, с двумя стоянками в Азорских и Бермудских островах, и финишировать в Нью-Йорке.

У «Алкиона» необычный силуэт (на снимке), резко отличающий его от любых других морских собратьев: на низкой палубе в носовой и кормовой части расположены два больших цилиндра 10-метровой высоты. Это и есть турбопаруса. По мнению специалистов, эта система позволит резко сократить расход топлива и будет способствовать охране окружающей среды.

Телефото. Рейтер—ТАСС.



В японском городе Цукуба, расположенном в 60 километрах к северо-востоку от Токио, открыта всемирная выставка «ЭКСПО-85», в которой принимают участие 48 государств, в том числе Советский Союз, а также 37 международных организаций. Тема выставки — «Жилище и окружающая среда: наука и техника — человеку». «ЭКСПО-85» рассказывает об этапах научно - технического прогресса, последних достижениях в космических исследованиях, компьютерной технике и робототехнике, новых видах связи и других областях.

НА СНИМКАХ: в павильоне японской электронной корпорации «Мацусита дэнки» робот рисует портреты посетителей; гигантские солнечные часы, установленные в «детском городке» выставки «ЭКСПО-85».

Фото Киодо — ТАСС.

# ფილმის პრემიერა

**ახლახან** კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამთავრდა გადაღება ახალი მხატვრული ფილმისა „ვინ არის მეოთხე?“.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ო. კობერიძე, სცენარის ავტორი დრამატურგი გ. ბადრიძე, მთავარ როლს ანსახიერებს სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობი ბ. ჯაიანი. სურათის კონსულტანტი იყო აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. მიქელაძე.

ფილმში ნაჩვენებია საგამომძიებლო პრაქტიკაში მომხდარი ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ბანდიტების ბნელ საქმიანობაზე და მათ წინააღმდეგ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ვაჟკაცურ, თავდაუზოგავ ბრძოლაზე, მათ სიმამაცესა და საზრიანობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა პრემიერა, რომელსაც დაესწრნენ შს სამინისტროს თანამშრომლები და ფილმის შემქმნელი კოლექტივის წევრები.

მილიციის მუშაკთა ცხოვრების ამსახველი ახალი ფილმი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

**თ. ხაბულიანი.**

# გარდამავალი პრიზი მოიპოვეს

**გალის** შს, რაიგანყოფილებაში სხვა საკითხებთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა პირად შემადგენლობასთან სპორტულ მუშაობას.

ახლახან გალის კომკავშირის რაიკომის ინიციატივით ჩატარდა რაიონული პირველობა მინი ფეხბურთში პირველობაში მონაწილეობდა ჩვენი რაიგანყოფილების ფეხბურთელთა გუნდი — „დინამო“, ჩვენმა გუნდმა წარმატებით ჩაატარა ყველა შეხვედრა და ფინალში გავიდა, სადაც „ვარდნილჰესის“ გუნდს შეხვდა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველი წუთებიდანვე მიაღწიეს უპირატესობას და გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით 4:2 ბურთები გაიტანეს თ. ძაძუამ (2) ვ. კვეკვესქირმა და კ. გოგოხიამ. რაიგანყოფილების ფეხბურთელთა გუნდის წევრებს ქების სიგელები და გარდამავალი თასი გადასცა კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ე. ქავთარაძემ.

**ჯ. გაგელია,**
**გალის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარიგში, მილიციის კაპიტანი.**

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 06194